ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3/10

2019 წლის 30 იანვარი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.030) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ასოციაცია თავისუფალი თაობისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, პირობებით, აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2018 წლის 10 დეკემბრის და 21 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 21 იანვრის წერილებით მომართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ასოციაცია თავისუფალი თაობის“ გამგეობის თავმჯდომარემ, რომელშიც დასმულია საკითხი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.030, 5298.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ასოციაცია თავისუფალი თაობისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, პირობებით, აღნაგობის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, საქველმოქმედო პროექტის ,,სოციალური სახლის“ განსახორციელებლად, რომლის ინტერესის სფეროს წარმოადგენენ ბავშვები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და ქმედუუნაროები.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.030, 5298.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ასოციაცია თავისუფალი თაობისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, პირობებით, აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის

წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.030, 5298.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ასოციაცია თავისუფალი თაობისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, პირობებით - საქველმოქმედო პროექტის ,,სოციალური სახლის“ განსახორციელებლად, აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა №13-ში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.07.030, 5298.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, 2 წლის ვადით, პირობებით - საქველმოქმედო პროექტის ,,სოციალური სახლის“ განსახორციელებლად, აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადასცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ,,ასოციაცია თავისუფალი თაობას“ (ს/კ 215108176).

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2019 წლის 30 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია